საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეკენთერის ჭა

თეკენთერის ჭა, სტული სიღრუე ხვამლის კირქვულ მასივში, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაკურალეშის მახლობლად. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. სიმაღლე ზ. დ. 1620 მ სიღრმე – 16 მ ფსკერის ფართობი – 35 $მ^2$ საერთო მოცულობა – 360 $მ^3$. ჭა ებმის სანახევროდ წყლით ამოვსებულ ჰორიზ. გვირაბს. გვირაბში ჩასვლა შესაძლებელია მხოლოდ დიდი წიფლის ფუღუროდან, რ-ის ფესვები ჭის კედლებშია გადგმული. ფსკერზე დაგუბებული წყლის სიღრმე 3–4 მ აღწევს. ჭის ფსკერზე გამდინარე ცივ ანკარა წყალს იყენებენ სასმელად. თ. ჭ. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში".

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.